რიჩარდ ღომგუღი

50 პერსონა – მათ შექმნეს ისტორია

2017-10-04



50 პერსონა – მათ შექმნეს ისტორია

ტომი 14

ავტორი **ირაკლი დომოური**

რედაქტორი დადო იოსებაძე
კორექტორები: ნატალია ჩიმაკაძე, სვეტა კვარაცხელია
დიზაინერი რატი თორდია
პასუხისმგებელი რედაქტორი ნატალია ახვლედიანი
კომპიუტერული უზრუნველყოფა რეზო თხილიშვილი
პროექტის მენეჯერი ელისო რეხვიაშვილი

© გამომცემლობა პალიტრა L, 2017
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
E-mail: book@palitra.ge; ტელ.: 238-38-71
www.palitral.ge

ჟურნალ «ისტორიანის» ბიბლიოთეკა

წინათქმა

რიჩარდ ლომგული, XII საუკუნის მეფე და რაინდი, ისტორიული პიროვნებაა, მაგრამ სინამდვილეში ის, როგორც მოვლენა, გაცილებით მეტია, ვიდრე წარსულში რეალურად არსებული ერთი კონკრეტული მმართველი, რომლის ცხოვრება – გმირობები იქნება თუ საბედისწერო წარუმატებლობანი – მემატიანეებს საკმარისად დეტალურად აქვთ აღწერილი...

რიჩარდ ლომგული ლეგენდარული, განუმეორებელი ფიგურაა, – თუნდაც მხოლოდ მისი უნიკალური მეტსახელი რად ღირს: «ლომგული» (ინგლისურად – Richard the Lion-heart, ფრანგულად – Richard Coeur de Lion). მიუხედავად იმისა, რომ მას მთელი ათი საუკუნე გვაშორებს (ცხოვრობდა 1157-1199 წლებში), მეფე რიჩარდი ჩვენი თანამედროვე, XXI საუკუნის კულტურის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს სწორედ იმიტომ, რომ ლეგენდადაა ქცეული. თუმცა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რიჩარდ ლომგული სიცოცხლეში უკვე წარმოადგენდა ლეგენდას – მეტსახელი «ლომგული» უელსელმა ჟირო დე ბარიმ, სენტ-დევიდის ეპისკოპოსმა, მაშინ შეარქვა, როდესაც რიჩარდი ჯერ ოცი წლისაც არ იყო! – ხოლო მისი ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ ამ ლეგენდამ ახალ-ახალი ფერები, სიღრმე და მასშტაბი შეიძინა.

ევროპულ ცივილიზაციაში მისი პიროვნების პოპულარობას განსაკუთრებით შეუწყო ხელი შესანიშნავი ინგლისელი მწერლის, ვალტერ სკოტის რომანებმა, XX-XXI საუკუნეების მასობრივ კულტურაში კი – კინემატოგრაფმა: რიჩარდ ლომგულზე არაერთი მხატვრული თუ სამეცნიერო-პოპულარული ფილმია გადაღებული.

მაგრამ ერთია ლეგენდა და მეორე – რეალური პიროვნება. როგორი იყო რიჩარდ ლომგული სინამდვილეში? მისი ხასიათის რა თვისებებმა, ანდა კონკრეტულად რა მოქმედებამ თუ საქციელმა განაპირობა ლეგენდის დაბადება? რამდენადაა გაზვიადებული მასზე არსებული სტერეოტიპული წარმოდგენები? ჩვენს წიგნში ამ და სხვა მსგავს კითხვებს ვეცდებით, დასაბუთებული, არგუმენტირებული პასუხი გავცეთ...

რიჩარდ ლომგულის რეალური ცხოვრება არათუ გამოდგება რაინდულ-სათავგადასავლო რომანის სიუჟეტად, არამედ თავისთავად წარმოადგენს კიდეც ასეთ რომანს. თუმცა წინასწარვე უნდა შევნიშნოთ – მეფე რიჩარდი ძაღზე რთული, წინააღმდეგობრივი,

იმპულსური პიროვნება გახდათ, ამიტომ მასზე გამარტივებულად და სწორხაზოვნად წერა არ ეგების. უფრო მეტიც, შეუძლებელიც კი არის, თუკი მკვლევარი ანდა მწერალ-პოპულარიზატორი საქმეს კეთილსინდისიერად მიუდგება. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, გარკვეულ სირთულეებს ქმნის მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერისას, მით უფრო, რომ თანამედროვე მკითხველისთვის, უმეტესად, უცნობია იმ ეპოქის საზოგადოებრივი კონტექსტი და რეალიები, რომელთა გააზრების გარეშე ძალზე ძნელია ადეკვატური წარმოდგენა შეიქმნა XII საუკუნის ყოფა-ცხოვრებასა თუ ურთიერთობების თავისებურებებზე. ამიტომ, იძულებული ვიქნებით, რამდენადაც შესაძლებელია, გარკვეული ყურადღება დავუთმოთ ისეთი კულტურულ-ისტორიული ფენომენების დახასიათებას, როგორიცაა, ვთქვათ, შუა საუკუნეების კურტუაზული კულტურა თუ ტრუბადურების პოეზია.

ასევე, განსაკუთრებულ ყურადღებასა და სიფრთხილეს მოითხოვს ცალკეული ისტორიული პიროვნებისა და მოვლენის აღწერა-დახასიათება თუ მიმოხილვა. ისეთი პიროვნებების, როგორიცაა, ვთქვათ, სალადინი, რომელიც თავად გახდათ ლეგენდარული ფიგურა, რიჩარდ ლომგულის მთავარი მიწინააღმდეგე მესამე ჯვაროსნული ლაშქრობისას (რომლის გმირიც სწორედ მეფე რიჩარდი იყო), ანდა ლაშქრობის პროცესში მისი მოკავშირე, იმავდროულად მეტოქე, და შემდგომ, მტერი, საფრანგეთის მეფე ფილიპე ავგუსტი, ანდა რიჩარდის მშობლები, ჰენრიხ II და ალიენორა აკვიტანელი. ასევე ვერაფრით ავარიდებთ თავს საკუთრივ ჯვაროსნული ლაშქრობების, როგორც ისტორიული მოვლენის, განხილვასა და ერთგვარ, მოკრძალებულ შეფასებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი წიგნი რიჩარდ ლომგულზე არასრული იქნება და შეიძლება მკითხველს სახელოვან გმირზე არასწორი წარმოდგენა შეექმნას.

თუმცა რიჩარდ ლომგულის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი თანადროული ისტორიული რეალიების, მოვლენებისა თუ პიროვნებების აღწერისას ვეცდებით ზომიერება დავიცვათ, რათა ტექსტი ზედმეტად არ გადავტვირთოთ და არ დავამძიმოთ. სწორედ ამიტომ, წყაროებისა და მეცნიერული ნაშრომების ციტირებას მინიმალურად მოვახდენთ, წიგნი ცოცხალი, მსუბუქი საკითხავი რომ იყოს.

საერთო ჯამში, ჩვენი წიგნი სამეცნიერო-პოპულარული ჟანრის კომპილაციური ნაშრომია, – სამეცნიერო-პოპულარულ შრომებში ასახულ ისტორიულ დოკუმენტებსა და წყაროებზე დაფუძნებული თხრობაა, ერთგვარი მოზაიკური სურათია, რომლის მიზანია რიჩარდ ლომგულის მოცულობითი პორტრეტის დახატვა, რაც საშუალებას მოგვცემს, მისი პიროვნება შეძლებისდაგვარად ახლოს გავიცნოთ და მეტ-ნაკლებად შევიგრძნოთ ეპოქის სურნელიც...

თავი I. რიჩარდი – გზის დასაწყისი

მოდით, მარტივად დავიწყოთ – ბიოგრაფიული, ე.წ. «ანკეტური» მონაცემებით. რიჩარდ ლომგული დაიბადა 1157 წელს ინგლისში, ოქსფორდში, თუმცა გაიზარდა დასავლეთ საფრანგეთში, დედის, ალიენორა აკვიტანელის სამფლობელოში. ჩვენი წიგნის გმირზე რაც შეიძლება სრული, სიღრმისეული წარმოდგენა რომ შევიქმნათ, მის გვირგვინოსან მშობლებზე აუცილებლად უნდა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა.

მამა – ჰენრიხ (ანრი) II პლანტაგენეტი (1133-1189), მეტსახელად «მოკლე მოსასხამი (მანტია)» (ინგლისურად – Henry II Curtmantle, ფრანგულად – Henri

II Court-manteau), ჰერცოგი ნორმანდიისა და გრაფი ანჟუსი, მენისა და ტურისა, 1154 წელს ინგლისის მეფედ აკურთხეს. იგი ჟოფრუა V პლანტაგენეტისა და მატილდა ინგლისელის ვაჟი იყო. დინასტიის სახელი, «პლანტაგენეტები» ჰენრიხ II-ის მამის ჩვევიდან წარმოდგება: იგი მუზარადზე მცენარე კურდღლისცოცხას (lat. planta genista) ტოტს იკეთებდა ხოლმე. 1135 წლიდან, ინგლისის მეფე ჰენრიხ I-ის გარდაცვალების შემდეგ, სამეფო ტახტი მის ქალიშვილზე, მატილდაზე (ჰენრიხ II-ის დედაზე) უნდა გადასულიყო, მაგრამ ძალაუფლება ხელში ჩაიგდო გარდაცვლილი მეფის ძმისშვილმა, სტეფან ბლუასელმა. დაიწყო სამოქალაქო ომი, რომელიც დაახლოებით ოცი წელი გაგრძელდა. ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა საბოლოოდ, სტეფან ბლუასელის ვაჟის დაღუპვის შემდეგ, ინგლისელი ბარონების დაჟინებული მოთხოვნით, მხარეებს შორის მოხერხდა შეთანხმება — სტეფანემ თავის მემკვიდრედ ჰენრიხ II აღიარა, მან კი საპასუხოდ ერთგულება აღუთქვა. ინგლისელმა ბარონებმა, თავის მხრივ, ჰენრიხ II-ს «ომაჟი» (სრულად: «ფუა დე ომაჟი». ესაა ფეოდალური ფიცი, რომელიც სენიორისა და მისი ვასალის ურთიერთდამოკიდებულებას განსაზღვრავს) დაუდეს, ანუ თავი მის ვასალებად გამოაცხადეს. 1154 წელს, სტეფან ბლუასელის გარდაცვალების შემდეგ, ჰენრიხ II ინგლისის მეფედ აკურთხეს. ასე რომ, ჰენრიხ II ინგლისის პირველი მეფე გახდა პლანტაგენეტების დინასტიიდან (მისი პირდაპირი შთამომავლები ინგლისს XIV საუკუნის ბოლომდე მართავდნენ, შემდეგ გამეფდნენ ლანკასტერები და იორკები, რომლებიც პლანტაგენეტთა სამეფო სახლის გვერდითა შტოს წარმომადგენლები იყვნენ).

ჰენრიხ II-მ 1152 წელს ცოლად შეირთო აქიენორა (გვიანდელ წყაროებში მას ასევე იხსენიებენ, როგორც «ელეონორას», თუმცა ნამდვილი სახელია «აქიენორა») აკვიტანელი (Aliénor d'Aquitaine), აკვიტანიისა და გასკონიის ჰერცოგის, გილიომ V-ისა და აენორ დე შატელროს ქალიშვილი. 1137-1152 წლებში იგი საფრანგეთის მეფის, ლუი VII-ს მეუღლე იყო, მაგრამ გაშორდა (გაყრის ფორმალურ მიზეზად დასახელდა, რომ სისხლით ნათესავები იყვნენ) და ცოლად გაჰყვა ჰენრიხს, მაშინ ჯერ კიდევ ჰერცოგს. მაგრამ შემდეგ, 1154-1189 წლებში, აქიენორა ინგლისის დედოფალი გახლდათ, როგორც ჰენრიხ II-ის კანონიერი მეუღლე. საფრანგეთის მეფისგან მას ქალიშვილი შეეძინა, ინგლისის მეფისგან კი — სამი ქალიშვილი და ხუთი ვაჟიშვილი. მისი ორი ვაჟი ინგლისის მეფედ აკურთხეს: ჯერ რიჩარდ ლომგული, შემდეგ კი, ჯონი, რომელსაც მემატიანეები იხსენიებენ, როგორც «იოანე უმიწაწყლოს».

ჰენრიხ II-მ და აქიენორა აკვიტანელმა ინგლისის, და ზოგადად, ევროპის ისტორიაში შესამჩნევი კვალი დატოვეს. ჰენრიხ II მეტად გონიერი პოლიტიკოსი, შეიძლება ითქვას, წარმატებული მმართველი აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის ბოლოს მეუღლე და შვილები დაუპირისპირდნენ, რასაც შეიარაღებული აჯანყება მოჰყვა. ჰენრიხს სურდა სხვა ქალი მოეყვანა ცოლად (ამაზე უფრო დაწვრილებით შემდგომ ვისაუბრებთ) და აქიენორამ თითქმის თექვსმეტი წელი, ფაქტობრივად, შინაპატიმრობაში გაატარა. თუმცა, ჰენრიხის გარდაცვალების შემდეგ, რიჩარდ ლომგულის მეფობის პერიოდში, იგი, შეიძლება ითქვას, ინგლისის რეალური მმართველი გახდა (რიჩარდი ინგლისში ისედაც მცირე ხნით ჩადიოდა ხოლმე, მეფედ კურთხევის შემდეგ კი უმეტესი ხანი მესამე ჯვაროსნულ ლაშქრობასა და შემდეგ ტყვეობაში გაატარა). იოანე უმიწაწყლოს მეფობისასაც აქიენორა უმცროსი ვაჟიშვილის გვერდით იმყოფებოდა და აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის